

ინვესტიციები და ექსპორტის ზრდა საქართველოს ეკონომიკური წინსვლის საწინდარია

თბილისი, 11 მაისი, 2017 – მსოფლიო ბანკის პროგნოზის თანახმად საქართველოში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაა მოსალოდნელი. ის 2017 წელს 3.5 პროცენტს მიაღწევს (2016 წელს პროგნოზირებული მაჩვენებელი 2.7 პროცენტი იყო), რაც განპირობებული იქნება საგარეო მოთხოვნით და სახელმწიფო ინვესტიციებით. ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მომზადებული ანგარიში - „**ვაჭრობა გარდამავალ პერიოდში**“, რომლის პრეზენტაციაც დღეს თბილისში შედგა, მიუთითებს, რომ ეკონომიკური ზრდა მომავალშიც გაგრძელდება და 2018 წელს - 4.0 პროცენტს, ხოლო 2019 წელს 4.5 პროცენტს მიაღწევს. ინვესტიციების ზრდა, საექსპორტო ბაზრების გამოცოცხლება და ნავთობპროდუქტებზე ფასების მატება ქვეყნის სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკურ წინსვლას განაპირობებს. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მისი ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.

აღნიშნული ტენდენცია, ასევე, მოსალოდნელია ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ნავთობზე ფასების სტაბილიზაციის შემდეგ, რაც სარგებელს მოუტანს რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილს და ხელს შეუწყობს ეკონომიკის აღმსვლას დასავლეთ ნაწილში. ზრდის პროგნოზი 2017 წელს 1.9 პროცენტი (რაც 0.3 პროცენტით მეტია ოქტომბრის პროგნოზთან შედარებით) იქნება და 2018 წლის განმავლობაში 1.8 პროცენტის ფარგლებში სტაბილურობას შეინარჩუნებს.

პროგნოზირებულმა მაჩვენებელმა სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის, რომელიც 2017 წლისთვის შეადგენდა 2.2 პროცენტს, ძირითადად დაიკლო სახელმწიფო ხარჯების შემცირების გამო სომხეთსა და აზერბაიჯანში: უკანასკნელი მონაცემების მიხედვით 2017 წელს ზრდა არ აღინიშნებოდა, ხოლო პროგნოზი 2018 წლისთვის მხოლოდ მოკრძალებული - 1.6 პროცენტით შემოიფარგლება. ამავე პერიოდში, სომხეთისთვის მოსალოდნელი ზრდა 2017 წელს 2.7 პროცენტს შეადგენს, აზერბაიჯანისთვის კი, რომელიც კვლავ ნავთობპროდუქტებზე არსებული ფასების შოკის ქვეშ იმყოფება, საპროგნოზო მაჩვენებელი 1.4 პროცენტია.

„ გარკვეული პერიოდის შემდეგ საქართველოს მაკროეკონომიკური მდგომარეობა კვლავ ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა, და ხელს უწყობს ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. სამომავლოდ, ქვეყანას აქვს სწრაფი ეკონომიკური განვითარების პოტენციალი, ვინაიდან საქართველო დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად წარმატებით განახორციელებს ექსპორტს, რომელიც ინოვაციებსა და ცოდნაზე იქნება დამყარებული,“ განაცხადა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში, მერსი ტემბონმა.

ანგარიში, ასევე, ხაზს უსვამს, რომ რეგიონში ვაჭრობის გაუმჯობესებაზე მიმართული პოლიტიკა გადამწყვეტია აღნიშნული ზომიერი ზრდის მისაღწევად. ვაჭრობას მნიშვნელოვანი როლი აქვს რეგიონში ადამიანების ცხოვრების დონის ასამაღლებლად. გარდამავალ პერიოდში, 1990-იანი წლებიდან დღემდე, ვაჭრობამ ხელი შეუწყო ეკონომიკურ ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და მილიონობით ადამიანისთვის სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე წვდომის გამარტივებას.

„საერთაშორისო ვაჭრობის მკვეთრმა ზრდამ ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გარდაქმნა რეგიონი. ამით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შესაძლებელი გახდა საბაზრო ეკონომიკის შექმნა, რაც დაკავშირებული იყო ევროკავშირის საერთო ბაზრის ფორმირებასთან,“ აღნიშნა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მსოფლიო ბანკის მთავარმა ეკონომისტმა, ჰანს ტიმერმა. მისივე თქმით: „ვაჭრობამ წაახალისა ინოვაცია და დღეს, როგორც არასდროს, რეგიონში მცხოვრებ სულ უფრო მეტ ადამიანს შეუძლია ჰქონდეს ადგილი შრომით ბაზარზე. თუმცა, საერთაშორისო კონკურენციამ და ახალმა ტექნოლოგიებმა შეამცირა სამუშაო ადგილების უსაფრთხოება. ქვეყნებმა თავიანთი სოციალური დაცვის სისტემები შრომითი ბაზრის ახალ რეალობასთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ იმისათვის, რომ დაეხმარონ მშრომელებს გაურკვეველობასთან გამკლავებაში.“

მთლიანობაში, რეგიონმა მდგრადობა შეინარჩუნა ვაჭრობის გლობალური შენელების მიმართ, ვაჭრობის მოცულობის ორჯერ ზრდით მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. ჩინეთის ექსპორტის ამჟამინდელი ვარდნა გლობალური ვაჭრობის შემცირების მამოძრავებელი გახდა, მაგრამ ჩინეთიდან ექსპორტის კონკურენტუნარიანობის კლებამ, ფაქტიურად, ალტერნატიული გზები გახსნა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონისთვის.

ანგარიშის თანახმად, ქვეყნებს შეუძლიათ ამ ახალი შესაძლებლობების საუკეთესოდ გამოყენება. თუნდაც, ეკონომიკური ზრდის ახალი სტრატეგიის სამუშაო ადგილების შექმნაზე ყურადღების მიმართვით ისეთ სფეროებში, რომლებიც კონკურენტუნარიანია საერთაშორისო მასშტაბით.

აღნიშნული სტრატეგიის შესამუშავებლად საჭიროა სამი მნიშვნელოვანი გარდაქმნა:

- I. ისეთი პროდუქციის წარმოების დაწყება, რომელიც შეიძლება გაიყიდოს საერთაშორისო ბაზრებზე, რაც განაპირობებს მდგრად გადასვლას იმპორტიდან ექსპორტზე;
- II. რეორიენტაცია აზიის მიმართულებით რეგიონის შიდა ვაჭრობაზე ყურადღების მიმართვის ნაცვლად, რაც აღინიშნებოდა ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში უკანასკნელ ათწლეულებში;
- III. საქონლის წარმოებიდან ისეთ მომსახურებაზე გადასვლა, როგორებიცაა ტურიზმი და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, სადაც სამომავლო ეკონომიკური ზრდის ყველაზე დიდი შესაძლებლობები არსებობს.

2017/ECA/119

საკონტაქტო პირები:

ვაშინგტონი: ჯონ მაკედონი - jmackedon@worldbank.org

თბილისი: ინგა პაიჩაძე - ipaichadze@worldbank.org

მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ეწვიეთ ვებგვერდს: <http://www.worldbank.org/eca>

მოიწონეთ ჩვენი გვერდი Facebook -ზე: <http://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia>

შემოგვიერთდით Twitter -ზე: <http://twitter.com/WorldBankECA>

შემოუერთდით დისკუსიას: <http://blogs.worldbank.org/europeandcentralasia>